საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ალექსი გილაშვილის 2024 წლის წლიური ანგარიში

მოგესალმებით საგარეჯოელებო, პატივცემულო საკრებულოს წევრებო. მინდა წარმოგიდგინოთ საკრებულოს 2024 წლის წლიური ანგარიში.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 27 ოქტომბრის #41 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის“ მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად, ჩემი, როგორც საკრებულოს წევრის ერთ-ერთი ვალდებულებაა წელიწადში ერთხელ ამომრჩეველს წარვუდგინო ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო შედგება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“-ს შესაბამისად პირდაპირი, საყოველთაო, თანასწორი და ფარული კენჭისყრის შედეგად არჩეული 39 წევრისგან,

13 მაჟორიტარი; 26 პროპორციული წესით არჩეული წევრისგან.

დღეისათვის საკრებულოში შექმნილია 2 ფრაქცია და 5 მუდმივმოქმედი კომისია.

წარმოგიდგენთ საკრებულოს თანამდებობის პირებს:

1. საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსი გილაშვილი;
2. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - ვეფხია ჩერქეზიშვილი;
3. საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ალექსი იოსელიანი;
4. საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე - ელენე სამხთუაშვილი;
5. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - ვანო ანუაშვილი;
6. საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - არჩილ ნემსიაშვილი;
7. საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე- ვეფხია უსტიაშვილი;
8. ლევან როსტიაშვილი - საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე;
9. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარე - ივანე ბეჟიაშვილი;
10. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - გივი ბედიაშვილი;
11. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - სოსო ჭიკაძე;
12. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - გიორგი თათრიშვილი;
13. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - დავით არაბული;
14. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - ნიკა ნაცვლიშვილი;

15. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - ვალერიან ხუნაშვილი;
16. საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ თავმჯდომარის მოადგილე - ვალერიან ხუნაშვილი;
17. საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარე +- გარსევან ბუხნიკაშვილი;
18. საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილე-შალვა ჯაბადარი ;
19. საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილე -ლელა ქვრივიშვილი;
20. საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'' თავმჯდომარის მოადგილე გია ბუჩაშვილი

საკრებულოს ბიურო შედგება 10 წევრისაგან. საკრებულოს თავმჯდომარე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები, საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიის და ფრაქციის თავმჯდომარეები.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თავის უფლებამოსილებას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის, „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის #19 დადგენილებით დამტკიცებული „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ და სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

საკრებულოში შექმნილია ორი ფრაქცია:

1. ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“
2. ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიები თავის საქმიანობას წარმართავენ მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე დამტკიცებული კვარტალური გეგმების შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარეები რეგულარულად ხვდებიან მოქალაქეებს და ეხმარებიან პრობლემების მოგვარებაში.

საკრებულოს ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას უწევს საკრებულოს აპარატი, რომელიც შედგება ორი განყოფილებისაგან:

1. საორგანიზაციო და იურიდიულ საკითხთა განყოფილება.
2. მოქალაქეთა მომსახურების და საქმისწარმოების განყოფილება.

საკრებულოს აპარატში დასაქმებულია 17 პროფესიული საჯარო მოსამსახურე და 8 შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი.

საკრებულოს სხდომების სტატისტიკა:

საანგარიშო პერიოდში საკრებულოში ჩატარებულია:

1. საკრებულოს ბიუროს 19 სხდომა
2. საკრებულოს 19 სხდომა აქედან:
   12 მორიგი, 7 რიგგარეშე.
3. მიღებულია 65 ბრძანება, 20 დადგენილება, 26 განკარგულება

წარმოგიდგენთ კომისიის სხდომების სტატისტიკას:

1. იურიდიულ საკითხთა კომისია - ჩატარებულია 11 სხდომა, განხილულია 21 საკითხი.

2. სივრცით ტერიტორიული დაგეგმვის, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია - ჩატარებულია 10 სხდომა, განხილულია 11 საკითხი.

3. საფინანსო - საბიუჯეტო კომისია - ჩატარებულია 11 სხდომა, განხილულია 36

4. სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია - ჩატარებულია 6 სხდომა, განხილულია 6 საკითხი.

5. ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისია - ჩატარებულია 9 სხდომა, განხილულია 1 საკითხი.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის 27 დეკემბერს დაამტკიცა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.“ დადგენილებაში დღეის მდგომარეობით შესულია 6 ცვლილება.

პირველი ცვლილება :

დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის #45, #168, #330,#1167, #1419, #1573, #2630, #2685, #2752, #557-2020,#1266, #2502, #277, #604, #75, #301,#2476, #116, #2475 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებიდან დარჩენილი ნაშთის განაწილებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400,#2401 და #2402 განკარგულებებით გამოყოფილი თანხის დამატებით.

წარმოდგენილი ცვლილებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 9989675,16 ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 11473458,88 ლარით (ნაშთი 1483783,72 ლარი) და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენების ხარჯზე 17680482 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 29153940,88 ლარით და შეადგინა 61830641 ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მუნიციპალიტეტს მიეცა 64000 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2401 განკარგულებით 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოიყო 668 ათასი ლარი.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის მიეცა 8549205 ლარი;
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებით 2024 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან:
1)საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 6903607 ლარი, კერძოდ,
ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბადიაურში კაკლების უბანში საავტომობილო გზის მოასფალტება -340614 ლარი, თანადაფინანსება 17928 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
ბ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ მანავში მე-7 და მე-10 ქუჩების რეაბილიტაცია -1034259 ლარი, თანადაფინანსება 54435 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
გ) სოფ. პატარა ჩაილურში ცენტრალური გზისა და მიმდებარე ქუჩის მოასფალტება - 692235ლარი, თანადაფინანსება 36343 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
დ) სოფ. ნინოწმინდაში 21-ე ქუჩის მოასფალტება - 618459 ლარი, თანადაფინანსება 32551 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
ე) სოფ. მანავში 28-ე ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაცია - 422978 ლარი, თანადაფინანსება 22262 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
ვ) საგარეჯო, ბილანიშვილის ქუჩის მოასფალტება - 483441 ლარი, თანადაფინანსება 25445 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
ზ) სოფ. დიდ ჩაილურში სკოლის ქუჩის მოასფალტება - 884712 ლარი, თანადაფინანსება 46564 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
თ) სოფ. ბადიაურში მესეტყვეების უბნის გზის რეაბილიტაცია - 217352 ლარი,თანადაფინანსება 11440 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
ი) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ კაზლარის გზის მოასფალტება - 1286647 ლარი, თანადაფინანსება 67719 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
კ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ დუზაგრამის გზის მოასფალტება- 922910 ლარი, თანადაფინანსება 48575 ლარი გათვალისწინებული იყო დამტკიცებულ ბიუჯეტში;
2) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამას დაემატა 345598 ლარი,კერძოდ, ქ.საგარეჯოში კახეთის გზატკეცილი N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია_345598 ლარი, თანადაფინანსება 18190 ლარი;
3) მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 300000 ლარი, კერძოდ დაფინანსდა
საგარეჯოს მუნიციპალიტეტში, სოფელ ხაშმში სკვერის მოწყობა - 300000 ლარი, თანადაფინანსება 73886 ლარი;
4) წყლის სისტემების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 500000 ლარი, კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ

შიბლიანის სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის პროექტი -500000 ლარი, თანადაფინანსება -363903 ლარი;
5) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 500000 ლარი, კერძოდ ქ. საგარეჯოში კრივის დარბაზის მშენებლობა -500000ლარი, თანადაფინანსება -356897 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 64000 ლარი გადასახდელებში აისახა ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის სხვა კაპიტალურ ხარჯებში.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2401 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარი გადასახდელებში აისახა სოფლის მხარდაჭერის პროგრამის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის #56 განკარგულებით „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ განისაზღვრა მუნიციპალიტეტისთვის საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის უფლებამოსილებების განსახორციელებლად გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი.
მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერი, მუნიციპალიტეტის მიერ მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების ღირებულების შესაბამისად, 628356,74 ლარით; გასული წლის დეკემბრის თვის მომსახურების შესაბამისად 80113,42 ლარი.
2024 წლის 1 იანვრისთვის ნაშთი (წლის დასაწყისისთვის გარდამავალი საბრუნავი სახსრები) შეადგინა 19397462,98 ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 1483783,72 ლარი, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 17913679,26 ლარს. 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით ბიუჯეტში მიღებული იყო 3570125,08 ლარით მეტი შემოსულობები 2023 წლის შემოსულობების გეგმასთან შედარებით.
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 დეკემბრის #2630 განკარგულებიდან 2020 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 56612.74 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 22 იანვარს #45 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 904,1 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის #554 განკარგულებით 2019 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 1,23 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბერს #2752 განკარგულებიდან 2020წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 1567,33 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 18 მარტის #557-2020 განკარგულებიდან ნაშთმა შეადგინა 789,82 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 09 ივლისის #1167 განკარგულებიდან ნაშთმა შეადგინა 487,73 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 11 დეკემბრის #2502 განკარგულებიდან ნაშთმა შეადგინა 3683 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 08 აგვისტოს #1573 განკარგულებით 2020 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 8064,79 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ოქტომბრის #2159 განკარგულებიდან ნაშთმა შეადგინა 0,39 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 05 თებერვლის #168 განკარგულებით 2021 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის

მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარიდან ნაშთმა შეადგინა 32613,03 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის #330 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 2021 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 1811,24 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 26 ივლისის #1266 განკარგულებიდან ნაშთმა შეადგინა 8851.79 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის #2685 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2021 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 157208,61 ლარი:
საქართველოს მთავრობის 2021 წლის 16 აგვისტოს #1419 განკარგულებით „2020-2022 წლების საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში შერჩეული პროექტების დასაფინანსებლად ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ 2021-2022 წელს გამოყოფილი თანხებიდან ნაშთმა შეადგინა 406528,77 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 17 იანვრის #75 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 447667,16 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2022 წლის 5 აპრილის #604 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 2022 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 16114,13 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის #277 განკარგულებით 2022 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარიდან ნაშთმა შეადგინა 2256,19 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 25 მაისის #926 განკარგულებით 2022 წელს საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 0,27 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 თებერვლის #301 განკარგულებით 2023 წელს საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 2322,21 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის #116 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ 2023 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 203713,18 ლარი;
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2476 განკარგულებით 2023 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 668 ათასი ლარიდან ნაშთმა შეადგინა 18338,68 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2023 წელს გამოყოფილი თანხიდან ნაშთმა შეადგინა 114247,23 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით (გასული წლის ნაშთიდან) დაფინანსდა: 2023 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროექტები და 2023-2024წ მრავალწლიანი პროექტები სულ 9433895 ლარი.

ნაშთის გამოყენება:

1) მუნიციპალიტეტის საკრებულო - 42720 ლარი, კერძოდ, დაემატა საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობის გაზრდის გამო 15120 ლარი (საკრებულოს დადგენილება#21 27.12.2023წ), საკრებულოს თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა (46 კაცი 10 თვე)- 27600 ლარი;

2)მუნიციპალიტეტის მერია 128700 ლარი: კერძოდ, მერიის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა (167 კაცი 10 თვე)-100200 ლარი; მერიის სტრუქტურული ერთეულებისთვის 6 ცალი საოფისე სავარძლის შესყიდვა -1500 ლარი (მოხს.ბარათი#01-522401680), 18 ცალი პრინტერი თავსებადი კარტრიჯებით -27000 ლარი (მოხს.ბარათი#01-52233559).

3) ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად 2023 წლის საწევრო გადასახადი გაიზარდა 27357,1 ლარის ოდენობით;

4) ნაშთის გამოყენება ინფრასტრუქტურის პროექტებზე 8047810 ლარი:

სულ წინა წლის ნაშთიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე განაწილდა 17680482 ლარი, სხვა დონის ერთეულის ფონდიდან გამოყოფილი ტრანსფერის ნაშთი 1483783,72 ლარი.

მეორე ცვლილება:

დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეული იყო საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის №2400 განკარგულებაში მიმდინარე წლის 24 იანვრის №170 და №184 განკარგულებებით შესული ცვლილებით გამოყოფილი თანხის დამატებით, აგრეთვე, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მ.წ.23 იანვრის N GOV 1 24 00001864 წერილში გათვალისწინებული შენიშვნების გათვალისწინებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 1485 000 ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 1485 000 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 1485 000 ლარით და შეადგინა 63 315 641 ლარი.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ მიმდინარე წლის 24 იანვრის №170 განკარგულებებით შესული ცვლილებით მუნიციპალიტეტისთვის დამატებით გამოყოფილი იყო 1485 000 ლარი, მ.შ.

1) მერიის არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლს დაემატა 44 000 ლარი სოფელ მზისგულის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციისთვის;

2) ახალი გზების მშენებლობის პროგრამას დაემატა 805 000 ლარი სოფელ იორმუღანლოს ხიდის რეაბილიტაციისთვის;

3) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამას დაემატა 548 000 ლარი ;

4) სპორტული ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამას 88 000 ლარი, სოფელ გიორგიწმინდაში არსებული სპორტული დარბაზის სახურავის რეაბილიტაციისთვის 68 000 ლარი, სოფელ მზისგულში დაზიანებული მინი სპორტული მოედნის რეაბილიტაციისთვის 20 000 ლარი.

ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრების გეგმაში განხორციელდა ცვლილება, კერძოდ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მ.წ.23 იანვრის N GOV 1 24 00001864

წერილში გათვალისწინებული შენიშვნების გათვალისწინებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მე-17 მუხლის მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვის ქვეპროგრამით (კოდი 06 02 09) გათვალისწინებული თანხა 1650 ლარი გადატანილი იქნა მერიის სხვა ხარჯის კლასიფიკაციის მუხლში.

მესამე ცვლილება :
დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 თებერვლის #271 და 2024 წლის 12 მარტის #322 განკარგულებებით გამოყოფილი თანხის დამატებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 530000 ლარით, გადასახდელები სახ.ბიუჯეტით გაიზარდა 510000 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 20000 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 530000 ლარით და შეადგენს 63845641ლარს.

საქართველოს მთავრობის 2024წლის 29 თებერვლის #271 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულებაში „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ და დამატებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი იყო 510000 ლარი;
საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახდელებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:
საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულებით მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი 510000 ლარი გადასახდელებში აისახა ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამის სხვა კაპიტალურ ხარჯებში - 419600 ლარი და მუნიციპალიტეტის მერიის ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლში - 90400 ლარი (ს.თოხლიაურის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები - 60067,23 ლარი, ს.ბადიაურის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები - 30332,77 ლარი).
საქართველოს მთავრობის მ/წლის 12 მარტის #322 განკარგულებით „მუნიციპალიტეტებისთვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ“ დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით საგარეჯოს მუნიციპალიტეტისთვის გამოყოფილი იყო 20000 ლარი. მათ შორის „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება - 5000 ლარი (საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გამოთავისუფლებული თანხა 5000 ლარი დაემატა სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას); ბავშვის უფლებათა კოდექსით განსაზღვრული დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დაფინანსება - 15000 ლარი (პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა, დახმარება ასევე გაიცემოდა მესამე ბავშვის დაბადების შემთხვევაშიც).

მეოთხე ცვლილება:
დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2024 წლის 25 მარტის #410

განკარგულებებით გამოწვეული ცვლილებით და საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე არაფინანსური აქტივების კლებით მიღებული შემოსულობებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 685389 ლარით, გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 685389 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 685389 ლარით და შეადგინა 64531030 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 25 მარტის #410 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტიბისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, კერძოდ საგარეჯოს მუნიციპალიტეტში სოფელ ხაშმში სკვერის მოწყობისთვის გამოყოფილი თანხით 300000 ლარი და ქ.საგარეჯოში კრივის დარბაზის მშენებლობისთვის გამოყოფილი თანხით 500000 ლარი დაფინანსდა ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩის მოასფალტება/ტროტუარის მოწყობა; ხოლო ამ პროექტიდან საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე გამოთავისუფლებული 800 000 ლარიდან 500000 ლარი შესაბამისად გადავიდა ქ.საგარეჯოში კრივის დარბაზის მშენებლობისთვის სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამაში, ხოლო 170790 ლარი გადადის სოფელ ხაშმში სკვერის მოწყობისთვის მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება ქვეპროგრამაში. სოფელ ხაშმში სკვერის მოწყობის პროექტი გაიყო ორად, რადგან შეიცავდა ორი სახის სამუშაოს, სკვერის მოწყობას და ამ სკვერის მიმდებარე ტერიტორიის მოასფალტებას. სოფელ ხაშმში სკვერის მოწყობის სამუშაოების ღირებულება ხარჯთაღრიცხვით განისაზღვრა 244676 ლარით და მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარით მოწყობა -129209 ლარით. ხაშმის სკვერის მიმდებარე ტერიტორიის ასფალტის საფარით მოწყობის თანხა 129209 ლარი დარჩა ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამაში. (აღნიშნულ პროექტზე ტენდერი ორჯერ არ შედგა, მოხსენებითი ბარათი).
საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე არაფინანსური აქტივების კლებიდან მ/წელს გეგმის ზევით დამატებით მიღებული იყო 685389 ლარი.(შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე - 746307,7 ლარი; და შემოსულობა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გაყიდვიდან, რომელიც განლაგებულია ადგილობრივი თვითმმართველობის (გარდა ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივი თვითმმართველობებისა) ტერიტორიაზე - 44082 ლარი; სულ 790389,7 ლარი 25.03.2024წ).
ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით დამატებით მიღებული შემოსულობებიდან დაფინანსდა:
სპორტის განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამას დაემატა 10600 ლარი, ა(ა)იპ სპორტული გაერთიანების საშტატო ნუსხაზე დამატებული ორი შტატგარეშე თანამდებობის ანაზღაურება (წერილი#41-522406578 05.03.2024წ);
სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირების ქვეპროგრამას დაემატა 329650 ლარი, რაც გამოწვეული იყო ს.იორმუღანლოში ახალი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების გახსნით (აღჭურვა - 75499 ლარი, ხელფასი - 96430 ლარი, 180 ბავშვზე კვება - 80121 ლარი, სამზარეულოს ტექნიკა -3600 ლარი, ოფისის ხარჯი - 6500 ლარი კომუნალური ხარჯი - 67500 ლარი) მოხსენებითი ბარათი#58-522410193 10.04.2024წ;

სოციალური დაცვის პროგრამას დაემატა 150000 ლარი: აქედან სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების ქვეპროგრამა-50000ლარი; მედიკამენტების შეძენაზე დახმარების ქვეპროგრამა-50000 ლარი; ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების ქვეპროგრამა -50000 ლარი (მოხსენებითი ბარათი#02-522410840 17.04.2024წ).

მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის ხარჯებს დაემატა 195139 ლარი.

„საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 53-ე და 581 მუხლების და 59-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად მოხელეთა წლიური შეფასებიდან გამომდინარე 2024 წელს წახალისების ფორმა „ფულადი ჯილდოს“ გასაცემი თანხა ერთი თვის ხელფასის ოდენობით, მუნიციპალიტეტის საკრებულოს ხელფასის ფონდს დაემატა 27797 ლარი და შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას -12975 ლარი; მუნიციპალიტეტის მერიის ხელფასის ფონდს დაემატა 252966 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას 19486 ლარი (გათვალისწინებული არ არის დამტკიცებულ ბიუჯეტში)(მუნიციპალიტეტის საკრებულოს 16.04.2024წ წერილი#53-53241072 და მოხსენებითი ბარათი#01-522410716 16.04.2024წ.); თანხის შევსება მოხდა გასული წლის ხელშეკრულებების დასრულებით მიღებული ეკონომიებით და გრანტის შემცირებით:

1) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია - 6006 ლარი:
ხელშეკრულება #:78/1; თარიღი: 22/06/2023 – 244,51 ლარი, ხელშეკრულება #:78; თარიღი: 22/06/2023წ -2533,73 ლარი; ხელშეკრულება #:156/2; თარიღი: 21/12/2023წ - 2550,83ლარი; ხელშეკრულება #:148; თარიღი: 07/12/2023წ - 677,71ლარი.

2) სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა,რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია -4068ლარი: ხელშეკრულება #: 92/1; თარიღი: 13/07/2023წ;

3) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა -2014,51ლარი: ხელშეკრულება #:107/1; თარიღი: 21/08/2023წ-1327,35ლარი; ხელშეკრულება #: 107; თარიღი: 21/08/2023წ; -687,16ლარი.

4) სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაცია - 8830,49 ლარი: ხელშეკრულება #: 155; თარიღი: 20/12/2023წ- 875,21ლარი; ს.პატარძეულში სასმელი წყლის ჭაბურღილის გარეცხვა - 2266,17 ლარი; გიორგიწმინდაში სასმელი წყლის ჭაბურღილის გარეცხვა-5689,14ლარი.

5) ახალი გზების მშენებლობა- 69792 ლარი, ხელშეკრულება #: 41; თარიღი: 31/03/2023წ -69792 ლარი.

6) ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოსთან დელეგირების ხელშეკრულების თანახმად 2024 წლის საწევრო გადასახადი დაზუსტდა და განისაზღვრა 173483 ლარით, შესაბამისად ქვეპროგრამაში გათვალისწინებული თანხა შემცირდა 27374 ლარის ოდენობით (ა.(ა).ი.პ.-მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალურ სააგენტოს წევრთა საერთო კრებისოქმი#1 28.03.2024წ);

მეხუთე ცვლილება :

დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 მაისის #668 განკარგულებით და 2024წლის 30 მაისის 746 განკარგულებით, 20 მაისის #701 განკარგულებით გამოწვეული ცვლილებებით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 298288 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით 38288 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 275417 ლარით.

გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით 38288 ლარით და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 462197 ლარით, მ.შ. ნაშთის გამოყენების ხარჯზე 186780 ლარით. ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 500485 ლარით და შეადგინა 65031515 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 მაისის #668 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტიბისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“, კერძოდ ტენდერში ვაჭრობის შედეგად დაკლებული თანხებით შემცირდა შემდეგი პროექტების დაფინანსებები: საგარეჯო, ბილანიშვილის ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 48341 ლარით; სოფ. მანავში 28-ე ქუჩის პირველი შესახვევის რეაბილიტაციის სამუშაოები-42299 ლარით; სოფ. ნინოწმინდაში 21-ე ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 8566 ლარით; საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ შიბლიანის სასმელი წყლის ჭაბურღილის რეაბილიტაცია და მაგისტრალური მილსადენის მოწყობის სამუშაოები - 11000 ლარით; კახეთის გზატკეცილი N9 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაციის სამუშაოები -13832 ლარით; მიღებული ეკონომიებით 124038 ლარი და განკარგულებით დამატებით გამოყოფილი 38288 ლარით დაფინანსდა ახალი პროექტი ქ.საგარეჯოში გამარჯვების ქუჩის რეაბილიტაციის სამუშაოები (პროექტის მთლიანი ღირებულება შეადგენს 160750 ლარს, განკარგულებით გამოყოფილმა დაფინანსებამ შეადგინა 152712 ლარს, თანადაფინანსება 8038 ლარი გათვალისწინებული იყო ადგილობრივ ბიუჯეტში) და 9614 ლარი დაემატა ქ.საგარეჯოში შოთა რუსთაველის ქუჩის მოასფალტება/ტროტუარის მოწყობის სამუშაოებს.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 მაისის #746 განკარგულებით „საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის 2018-2021 წლების სტრატეგიის ფარგლებში ზოგიერთი მუნიციპალიტეტის მიერ ფინანსების მართვის გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით, 2023 წელს განსაზღვრული ღონისძიებების შესრულებიდან გამომდინარე, ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის კაპიტალური გრანტის გამოყოფის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო 260 000 ლარი: განხორციელდა შემდეგი პროექტები: ს.ნონოწმინდაში #15 ქუჩის მოასფალტების სამუშაოები - 240000 ლარი; ქ.საგარეჯოში ვარლამ ჩერქეზიშვილის ქუჩაზე არსებული საფეხმავლო ხიდის რეაბილიტაციის სამუშაოები - 20000 ლარი .
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 20 მაისის #701 განკარგულებით“ ზოგიერთი მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ მიეცა თანხმობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტს საკუთარი უფლებამოსილების განსახორციელებლად უცხოური არასამეწარმეო იურიდიული პირის ფილიალისგან- „გოეთე ინსტიტუტის ფილიალისგან საქართველოში“ მიიღოს ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის-„Creative Compass Georgia” ფარგლებში გამოყოფილი გრანტი 5000 ევროს ოდენობით, ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების მხარდასაჭერად (ბიუჯეტში აისახება კულტურის ობიექტების აღჭურვა,რეაბილიტაცია,მშნებლობის ქვეპროგრამაში შესაბამისი კურსით (15417ლარი).

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 184607 ლარით შემცირდა სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამა, კერძოდ ქ.საგარეჯოში კრივის დარბაზის მშენებლობის სამუშაოები მ/წელს და 184607 ლარით გაიზარდა სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციის ქვეპროგრამა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფლების სასმელი წყლის სისტემების მიმდინარე შეკეთებისთვის საჭირო სასმელი წყლის სხვადასხვა განზომილების მილების

შესყიდვისთვის (ინფრასტრუქტურის განყოფილების მოხსენებითი ბარათი#03-5224150104 29.05.2024წ.
საერთაშორისო მნიშვნელობის თბილისი-ბაკურციხე-ლაგოდეხის (აზერბაიჯანის რესპუბლიკის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ48-დან (ქალაქ საგარეჯოს მიმდებარედ) -კმ57-მდე (სოფელ თოხლიაურის მიმდებარედ) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის, სსიპ საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი „112“-ის და საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ მოხდა ვიდეო სისტემის დაგეგმვა. რისთვისაც შესაძენი და დასამონტაჟებელი იყო ვიდეო კამერების სამონტაჟოდ განკუთვნილი სპეციალური 4 ერთეული კონსტრუქცია, ასევე 8 ერთეული სახელმწიფო სანომრე ნიშნის ამომცნობი ვიდეო კამერა და მოსაწყობი იყო 4 ერთეული კავშირის წერტილი, ასევე ვიდეო კამერების განთავსების მიმდებარედ მოსაწყობი იყო შესაბამისი ზომის და ტიპის საგზაო ნიშნები. ფასთა კვლევის შედეგად ღირებულება შეადგენს 186780 ლარს. ღონისძიების დაფინანსება მოხდა საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ნაშთის გამოყენებით და დაემატა საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ქვეპროგრამას.

მეექვსე ცვლილება:
დადგენილების პროექტის მომზადება გამოწვეული იყო საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით და 2024წლის 29 ივლისის #1060 განკარგულებით და 14 აგვისტოს #1146 განკარგულებით.

პროექტის მიღებასთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობები გაიზარდა 2460413 ლარით, მ.შ. სახელმწიფო ბიუჯეტით 1875909 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 584504 ლარით. გადასახდელები სახელმწიფო ბიუჯეტით 1875909 ლარით და გადასახდელები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 584504 ლარით; ბიუჯეტის გადასახდელების მოცულობა გაიზარდა 2460413 ლარით და შეადგინა 67491928 ლარი.
საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 ივლისის #1060 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტიბისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ და მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 631223 ლარი, ოთხი მრავალწლიანი პროექტი გახდა ერთწლიანი.
1) სოფ. პატარა ჩაილურში ცენტრალური გზისა და მიმდებარე ქუჩის მოასფალტების სამუშაოების დაფინანსება მ/წელს გაიზარდა 146113 ლარით,მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 109030 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე - 37083 ლარით;
2) სოფ. დიდ ჩაილურში სკოლის ქუჩის მოასფალტების სამუშაოების დაფინანსება მ/წელს გაიზარდა 209690 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 156472 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე - 53218 ლარით;
3) სოფელ კაზლარის გზის მოასფალტების სამუშაოების დაფინანსება მ/წელს გაიზარდა 320592 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 239228 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე - 81364 ლარით;
4)სოფელ დუზაგრამის გზის მოასფალტების სამუშაოების დაფინანსება მ/წელს გაიზარდა 169514 ლარით, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტით - 126493 ლარით, საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე - 43021 ლარით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 14 აგვისტოს #1146 განკარგულებით ცვლილება შევიდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის #2402 განკარგულებაში „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტიბისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ და მუნიციპალიტეტს დამატებით გამოეყო 818777 ლარი, დაფინანსდა:

1)საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ს.თოხლიაურში სკვერის მოწყობა 232807 ლარით, თანადაფინანსება მ/წელს 50000 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება -354519 ლარი;

2)ქ.საგარეჯო კახეთის გზატკეცილი#10ა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის რეაბილიტაცია 585970 ლარით, თანადაფინანსება მ/წელს 50000 ლარი, პროექტის მთლიანი ღირებულება -868959 ლარი;

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 23 ივლისის #1025 განკარგულებით „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ ინიციატივის განხორციელების მიზნით გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ მუნიციპალიტეტს 425909 ლარი გამოეყო, ამავე განკარგულების „კ“ პუნქტის თანახმად თანადაფინანსება საბიუჯეტო სახსრებმა ფონდების გარეშე შეადგინა გამოყოფილი თანხის 200%, 851818 ლარი, აღნიშნული აისახა კეთილმოწყობის პროგრამაში, კერძოდ საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში. ამ ცვლილებისთვის საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 251818 ლარი დაემატა საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამას, 550000 ლარი დაემატა გზების მიმდინარე შეკეთების ქვეპროგრამიდან და 50000 ლარი საგზაო ნიშნები და უსაფრთხოების ქვეპროგრამიდან.

გაიზარდა შემოსავლები საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 584504 ლარით, კერძოდ გაიზარდა სხვა შემოსავლები, პროცენტები (დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები),რომელიც ასე განაწილდა: 214686 ლარი- ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამა (რგფ თანადაფინანსება); 18000 ლარი- შპს „საგარეჯო“-ს სუბსიდია; 251818 ლარი - საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაციის ქვეპროგრამა (თანადაფინანსება #1025 განკარგულების); 50000 ლარი - ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია (რგფ თანადაფინანსება); 50000 ლარი - მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა,განვითარება (რგფ თანადაფინანსება);

საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე 458031 ლარით შემცირდა სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამა, კერძოდ ქ.საგარეჯოში კრივის დარბაზის მშენებლობის სამუშაოები მ/წელს შემცირდა 372000 ლარით და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მინი სტადიონების მოწყობა შემცირდა 86031 ლარით; შესაბამისად

1)86031 ლარით გაიზარდა ახალი გზების მშენებლობის ქვეპროგრამა ქ.საგარეჯოში მე-4 სკოლასთან არსებული მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციის სამუშაოების განსახორციელებლად (მოხსენებითი ბარათი#03-522422196 08.08.2024წ);

2)200000 ლარით გაიზარდა სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამა, განხორციელდება პროექტის ს.უდაბნოში სარიტუალო სახლის რეაბილიტაციის სამუშაოების თანადაფინანსება, პროექტის ღირებულებამ შეადგინა 467865 ლარი, მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების თანხა 2024წელს 200000 ლარი, 2025წელს -100979 ლარი, თანადამფინანსებლი კომპანია „ნექსთ ენერჯის“ წილი შეადგენს 167865 ლარს (მოხსენებითი ბარათი#03-522422249 09.08.2024წ).

3)აქედან 172000 ლარი დაემატა შპს „საგარეჯოს“ სუბსიდიას, ხოლო მთლიანად 190000 ლარით გაიზარდა შპს „საგარეჯოს“ დაფინანსება; (18000 ლარი დაემატა საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე) წერილი#47-522421852 05.08.2024წ.

საქართველოს მთავრობის 2023წლის 28 დეკემბრის #2400 განკარგულებით „სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ გამოყოფილი აუთვისებელი თანხა 25470,61 ლარი სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობის ქვეპროგრამიდან გადავიდა ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაციის ქვეპროგრამაში, რადგან ს.მზისგულში სტიქიის შედეგად დაზიანებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციის სამუშაოების სახარჯთარღიცხვო ღირებულებამ შეადგინა 41288,57 ლარი ტენდერი გამოცხადდა საბიუჯეტო სახსრები ფონდების გარეშე ამ ქვეპროგრამაში არსებული რესურსიდან (მოხსენებითი ბარათი#03-5224226141 13.08.2024წ).

სოციალური პროგრამები

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2023 წლის 27 დეკემბერს #17 დადგენილებით დაამტკიცა „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2024 წლის პროგრამა“.

მოსახლეობის დახმარების 2024 წლის პროგრამის ბიუჯეტი შეადგენდა 2 478 900 ლარს.

1.სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულის 150 000-ის ჩათვლით მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე ოჯახებში ახალდაბადებული ბავშვების დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი იყო 14 000 (თოთხმეტი ათასი) ლარი.

2. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულის 150 000-ის ჩათვლით მრავალშვილიანი (ოთხი და მეტი შვილი) ოჯახების დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი 80 000 (ოთხმოციათასი) ლარი.

3. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის ბავშვების დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. უდედმამო 18 წლამდე ბავშვებზე დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი 23 800 (ოცდასამიათასრვაასი) ლარი.

5. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვებზე დახმარება ქვეპროგრამის ბიუჯეტი 52 000 (ორმოცდათორმეტი) ლარი.

6. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და 18 წლამდე შშმ ბავშვთა და სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის რეაბილიტაცია თანხა დაფინანსდა 500-დან -1000 ლარამდე.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურება დაფინანსდა 500 ლარამდე თანხით.

სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაცია დაფინანდა 400 ლარით.

შშმ პირების დასაქმების და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით, სასწავლო კურსი დაფინანსდა 1000 ლარამდე თანხით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე უსინათლო პირებზე დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის მიმწოდებელი ააიპ რეაბილიტაციის ცენტრი ,,სინერგია 2019“ -ის კომუნალური ხარჯები დაფინანსდა 2000 ლარით.

სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ბავშვთა ქვეპროგრამის მიმწოდებლად რეგისტრირებული ააიპ გეორგიანელის ტრანსპორტირების ხარჯები - 20000 ლარი.
კლინიკა ,,ლაიფი"-ის ბაზაზე არსებული შშმ პირთა სათემო ორგანიზაციის კომუნალური ხარჯები - 15000 ლარი.
ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 150 000 (ასორმოცდაათიათასი) ლარი.
7. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულის 150 000-ის ჩათვლით მარტოხელა სტატუსის მქონე პირებისთვის ვისაც ჰყავს 18 წლამდე ბავშვი/ბავშვები ერთჯერადად 300 ლარის გაცემა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 6 000 (ექვსიათასი) ლარი.
8. რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების ქვეპროგრამის ფარგლებში თვითმართველობის სოციალური მუშაკის მიერ შესწავლილი ოჯახების გაძლიერების მიზნით, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე ფულადი დახმარების გაცემა 500 ლარამდე თანხით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 5000 (ხუთიათასი) ლარი.
9. სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულის 100 000-ის ჩათვლით მქონე მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 10 000 (ათიათასი) ლარი.
10. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000 დან 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული, დევნილი პირების, 18 წლამდე ასაკის პირებს, ასაკით პენსიონერი პირების და მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირების, გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადების მქონე პირების, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირების (ნებისმიერი ტიპის) სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრა მოთხოვნილი თანხის 80 %-ით არაუმეტეს 1500 ლარისა. აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის სრულად დაფინანსება ხოლო 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფებისათვის 600 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსდება სრულად. სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 90%-ით არაუმეტეს 1500 ლარისა, ხოლო 100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე პირებს, რომლებიც ამავდროულად არიან ასაკით პენსიონერი ან შშმ პირის სტატუსის მქონე, ასევე 120 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე 16 წლამდე ბავშვის, სამკურნალო საოპერაციო 1500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსება 100% ით. აღნიშნულ პირებს სადიაგნოსტიკო კვლევების თანხის დაფინანსება 1000 ლარამდე.
სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შშმ პირთა, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, დევნილ პირთა, 18 წლამდე პირთა, ასაკით პენსიონერ პირთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირთა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე პირთა, შაქრიანი დიაბეტის მქონე პირთა სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის 700 ლარამდე სრულად დაფინანსება, ხოლო შვიდასი ლარიდან ზევით თანხის 50 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა.

სამედიცინო დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროგრამის ფარგლებში ასევე უსინათლოთა ხელჯოხების დაფინანსება, ხმოვანი წნევის აპარატები, სოციალურად დაუცველი (100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა) და ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის, ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების თანხები. ზემოთჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსება სრულად, სამას ლარზე მეტი თანხის შემთხვევაში, ბენეფიციარის ერთჯერადად დაფინანსება 500 ლარით. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების ყოველთვიური დაფინანსება არაუმეტეს 120 ლარისა. (საჭიროების მიხედვით). 18 წლამდე შშმ ბავშვთა და მოზარდთა ჰიგიენური საშუალებებით დაფინანსება თვეში არაუმეტეს 50 ლარისა (საჭიროების მიხედვით).
ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 420 000 (ოთხასოციათასი) ლარი.

11. ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარების მედიკამენტებით დახმარება ლიმიტის ამოწურვამდე 2000 ლარამდე თანხით.
სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული 200 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციართა, შშმ. პირთა, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა, მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებ და დევნილ პირთა, 18 წლამდე პირთა ასაკით პენსიონერთა, გულ-სისხლძარღვთა დაავადების მქონე, შაქრიანი დიაბეტის დიაგნოზის მქონე და ეპილეფსიით დაავადებულ პირთა, ფენილკეტონურიით, ან სხვა იშვაითი დაავადების მქონე პირთა, მედიკამენტებით დახმარება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 800 ლარამდე თანხით.
ქრონიკულად მიმდინარე და ნაკლებად მძიმე დაავადების დიაგნოზის მქონე პირებში მედიკამენტების თანხის ოდენობა 400 ლარით განისაზღვრა. გამონაკლის შემთხვევაში თანხა გაიცემა შესაძლებელი იყო წელიწადში ორჯერ 300-300 ლარის ოდენობით ჯამში არაუმეტეს 600 ლარისა.
სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე ბენეფიციარისთვის, ჯანმრთელობის და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, მედიკამენტების თანხის ლიმიტი წელიწადში 800 ლარს შეადგენდა. გაცემა ორჯერადად 400-400 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 250 000 (ორასორმოცდაათიათასია) ლარი.
12. ონკოლოგიური ავადმყოფების სტაციონარული, ამბულატორიული, პალიატიური მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება, ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება მოთხოვილი თანხის 90%-ით, არაუმეტეს 1500 ლარისა (3000 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე). ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსდება განისაზღვრა სრულად ან/და ლიმიტის ამოწურვამდე. თუ ონკოლოგიური ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის მოცულობა 3000 ლარს აჭარბებს დახმარება გაწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 3000 ლარს აჭარბებს, დახმარება გაწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 4000 ლარს აჭარბებს დახმარების გაწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 5000 ლარს აჭარბებს დახმარების გაწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით.
ბ) სხვა სიმსივნული დაავადების მქონე პირებისთვის სამედიცინო დახმარების გაწევა დაუფინანსებელი თანხის 70 %-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა; სამედიცინო

დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსება თანხის 50% არაუმეტის 800 ლარისა.
გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსება 2000 ლარამდე თანხით ლიმიტის ამოწურვამდე.
ქვეპროგრამის ბიუჯეტი 200 000 (ორასიათასია) ლარია.
13. ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრა 150 ლარით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 62 400 (სამოცდაორიათასოთხასი) ლარი.
14. სოციალურად დაუცველი (100 000 სარიტინგო ქულის ჩათვლით) ოჯახებისთვის მოხმარებული ელექტროენერგიის ან გაზის ღირებულების დაფარვა განხორციელდა ყოველთვურად, პროგრამის შემდეგი ბენეფიციარებისთვის: მარჩენალდაკარგული, მარტოხელა მშობელი რომელსაც ჰყავს 18 წლამდე ასაკის შვილი, შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვი (18 წელამდე ასაკის) და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირი, რეინტეგრირებულ ბავშვიანი ოჯახი, მრავალშვილიანი ოჯახი, რომლებსაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი, სოციალურად დაუცველი ოჯახი სარეიტინგო ქულით 65 000-დან 100 000-მდე. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 56 000 (ორმოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.
15. სოციალურად დაუცველ ოჯახებისთვის, (100 000-ის ჩათვლით სარეიტინგო ქულა) მკვეთრად ან მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე პირებს (120 000 -ის ჩათვლით სარეიტინგო ქულამდე) ერთჯერადად ზამთრის სეზონზე საშეშე მერქნის შესაძენი თანხის მიცემა 100 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 120 000 (ასოციათასი) ლარი.
16. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სადღესასწაულოდ საკვები ამანათების გადაცემა პროგრამის მიხედვით დახმარება გაცემა 1450 ბენეფიციარზე (ახალ წელს, აღდგომის დღესასწაულზე და ბაირამობას) ქვეპროგრამის ბიუჯეტი 180 000 (ასოთხმოციათასი) ლარია.
17. სოფელი უდაბნოდან (კვირაში ორჯერ) ქალაქ საგარეჯოში სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ტრანსპორტირება მთელი წლის განმავლობაში ხორციელდება.
დახმარების პროგრამით გამიზნული აქტივობების შესრულება (სოციალურად დაუცველი ოჯახების უფასო ტრანსპორტირება სხვადასხვა კლინიკაში სკრინინგ პროგრამების ჩასატარებლად, ასევე პანდემიის დროს სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის აუცილებელი საკვების და საყოფაცხოვრებო საშუალებების სპეციალური ამანათების შესყიდვა–განაწილების ტრანსპორტირება, ეტლების ტრანსპორტირება.)
ქვეპროგრამის ბიუჯეტი 25 000 (ოცდახუთიათასი) ლარია.
18. 95 წელს მიღწეული ხანდაზმულთათვის ერთჯერადად თანხის გაცემა 300 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 6000 (ექვსიათასი) ლარი.
19. უპატრონო მიცვალებულების, რომელთაც არ ჰყავთ არც ერთი რიგის მემკვიდრე, ლტოლვილის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არსებული შშმ პირთა და ხანდაზმულთა სათემო სახლში მცხოვრები მიუსაფარი პირების, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარდაცვლილი არაიდენტიფიცირებული და სოციალურად დაუცველი ოჯახის გარდაცვლილი პირის დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვისთვის დახმარება 500 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 45 000 (ორმოცდახუთიათასი) ლარი.

20. მერიის ბალანსზე არსებული შენობა-თავშესაფრების დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მცხოვრები პირებისთვის მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 20 000 (ოციათასი) ლარია.
21. სტიქიით ან სხვა განსაკუთრებული შემთხვევით დაზარალებული ოჯახი, უსახლკარო ოჯახი, რომლის ავარიული საცხოვრებელი სახლი საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს, ასევე, მარტოხელა სტატუსის მქონე პირთათვის და ძალადობის ან/და ტრეფიკინგის მხვერპლთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა. ბავშვთა ზრუნვის პროგრამის ფარგლებში ბინის ქირით უზრუნველყოფა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე, ბინის ქირის უზრუნველყოფა ოჯახებისთვის, რომელთაც ჰყავთ ორი ან ორზე მეტი შშმ პირი. დახმარება განისაზღვრა თითოეულ კატეგორიაზე 105.27 ლარით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 45 000 (ორმოცდახუთიათასი) ლარია.
22. ა(ა)იპ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლის“ უფასო სასადილოების დაფინანსება. დახმარების გაცემა ყოველდღიურად საკვების სახით, სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბენეფიციარებისთვის. ქვეპროგრამის ბიუჯეტი 320 100 (სამასოცდათასასი) ლარია.
23. საქართველოს ერთიანობისთვის ბრძოლაში მონაწილე ვეტერანთა დაკრძალვის სარიტუალო ხარჯებისთვის დახმარების გაცემა 500 ლარის ოდენობით.
ბ) საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის საბრძოლო მოქმედებებში დაღუპულთა ოჯახებისთვის დახმარების გაცემა თითოეულ ოჯახზე 500 ლარი.
გ) დიდი სამამულო ომის ვეტერანების სადღესასწაულო და სარიტუალო ხარჯებით დახმარებისთვის გაიცემა 500 ლარი ფულადი საჩუქარი სადღესასწაულოდ, 500 ლარი დაკრძალვის სარუტუალო ხარჯისთვის (აქედან 250 დაემატება ადგილობრივი ბიუჯეტიდან)
ქვეპროგრამის ბიუჯეტი 10 500 (ათიათასხუთასი) ლარია.
24. წითელი ჯვრის საგარეჯოს ფილიალის დაფინანსება 23 300 ლარით.
25.სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის, რომელსაც ჰყავს ორი სტუდენტი, სოციალურად დაუცველი დედით ან მამით ობოლი, სოციალურად დაუცველი მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე შვილთა და შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე სტუდნეტებისთვის, ასევე სტუდენტებისთვის, რომელთაც ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე მშობელი ან მშობლები და ოჯახი რეგისტრირებულია სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში (სარეიტინგო ქულა 100 000) უმაღლეს საგამანათლებლო სასწავლებელში სწავლის საფასურის თანადაფინანსება 1000 ლარამდე თანხით. ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 20 000 (ოციათსი) ლარი.

დადგენილებაში შევიდა შემდეგი ცვლილება:

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 12 მარტის N322 განკარგულების საფუძველზე, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტს გამოეყო მიზნობრივი ტრანსფერი - 20000 ლარი, რაც გადანაწილდა მოსახლეობის დახმარების 2024 წლის პროგრამის შემდეგ ქვეპროგრამებში:
პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამას დაემატა დახმარება მესამე ბავშვზეც, შესაბამისად დაემატა თანხა - 15000 ლარი, ხოლო 5000 ლარი დაემატა ომის ვეტერანების და მათი ოჯახების დახმარების პროგრამას.

შესამამისად, ცვლილება შევიდა პროგრამის მე-5 მუხლის პირველ პუნქტში და პუნქტის სათაური ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: პირველი, მეორე და მესამე ახალდაბადებული ბავშვიანი, სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა (კოდი 06 02 01 01), ასევე მუხლის შინაარსში „დახმარების მიმღები“ - განისაზღვრა პირველი, მეორე და მესამე შვილი.
რაც შეეხება სხვა ცვლილებებს, შშმ. პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამაში შევიდა ცვლილება (06 0201 06), სადაც ჩაშლილად იქნა მითითებული დაავადებათა კლასიფიკაცია, რაც ფინანსდება ზემოაღნიშნული პროგრამით.
ასევე ცვლილება შედის ბიკარბონატული ჰემოდიალიზი - თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულ პირთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამაში (06 02 02 04). მოქმედი პროგრამით ხორციელდება სამიზნე ჯგუფების ტრანსპორტირების ხარჯის დაფინანსება.
პროგრამის მე-6 მუხლში სამედიცინო მომსახურების დაფინანსების წესში მითითებული ჩანაწერი „სამედიცინო მომსახურება არ დაფინასდება თუ მოქალაქე გამოთქვამს სურვილს სამედიცინო მომსახურება მიიღოს ისეთ სამედიცინო დაწესებულებაში, რომელიც ჩართული არ არის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში“ ამოღებულ იქნა, ვინაიდან არის კლინიკები, რომლებიც ჩართულნი არ არიან სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამაში, აღნიშნული ჩანაწერის გამო კი, მოქალაქეს, მიუხედავად იმისა, რომ წარმოადგენს სამიზნე ჯგუფს, ეზღუდება მუნიციპალიტეტის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების მიღების უფლება.

განათლება

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ 2024 წლის 23 თებერვალს #6 დადგენილებით შემოიღო „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის წარჩინებული სტუდენტებისათვის ალექსანდრე ცხვედაძის სახელობის სტიპენდია“

სტიპენდია გაიცემა სტუდენტზე, რომელიც აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმს:
სტიპენდიის ოდენობა ერთ წარმატებულ სტუდენტზე სემესტრში შეადგენს 770 ლარს.

- არის საქართველოს მოქალაქე;
- განცხადების შემოტანის მომენტისთვის ბოლო ექვსი თვის განმავლობაში რეგისტრირებულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტში;
- საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საჯარო (კერძო) სკოლაში გავლილი აქვს ზოგადი განათლების სრული კურსი;
- არის აკრედიტებული უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი (ბაკალავრი);
- სემესტრის განმავლობაში გავლილ ყველა სალექციო კურსში აქვს არანაკლებ 91-100 ქულა;
- აქვს სტუდენტის აქტიური სტატუსი.

მოსახლეობასთან შეხვედრების დროს წამოჭრილი პრობლემები და შესრულებული სამუშაოები

წლის განმავლობაში საკრებულოს საკრებულოს მაჟორიტარ წევრებთან ერთად სისტემატურად ვხდებოდი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას. წარმოგიდგენთ შეხვედრებზე დასახელებულ პრობლემებს:

გომბორი

- სკოლის რეაბილიტაცია;
- ბაღთან გადასასვლელი ავარიული ხიდის (კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი) რეაბილიტაცია;
- სოფლის პროგრამით გათვალისწინებული სტადიონის შემოღობვა (არ დაწყებულა).- მიმდინარე

ვერონა

- წყლის დასრულება (არ დაწყებულა).

რუსიანი

- ხიდების გაკეთება - მიმდინარეობს

ვაშლიანი

- გზების მოხრეშვა (არ დაწყებულა);
- 2ც 5 ტონიანი ავზი აზერბაიჯანელების უბანში -შესრულდა;
- დაპირებული სანიაღვრე არხების გაკეთება (შეპირება)

კოჭბაანი

- გაზის ჩართვა;
- ამბულატორიის გათბობა
- გზების მოხრეშშვა
- ცენტრალური გზის გაკეთება (პროექტი მზად არის);

გორანა

- ხიდის დასრულება;
- გარე განათების გაკეთება, საჭიროა 60 წც ლამპიონი.
- სტადიონის გვერდზეე სკვერის გაკეთება

უჯარმა

- წყლის პრობლემა (არსებობს ჩანჩქერების წყალი რომელიც მოაგვარებს პრობლემას)
- უჯარმის სკოლასთან არსებული სტადიონის რებილიტაცია (კეთდება სოფლის პროგრამით) გზასთან არსებული სპორტდარბაზის რეაბილიტაცია (პროექტი არის) ეკლესიასთან მისასვლელი გზა (პროექტი არის)

ხაშმი

- წყლის შემკრების გაკეთება მიმდინარეობს (დასაჩქარებელია სამუშაოები); - შესრულდა;
- წყლის დაქსელვა (მიმდინარეობს პროექტირება);
- ხაშმის ცენტრის მოასფალტება (ხელშეკრულება დადებულია 10.06.2024წ, სამუშაოები არ დაწყებულა) - შესრულდა;
- გარე განათება 30ც ლამპიონი;
- გზის პროექტი არის ნაყიდი.

პატარძეული

- წყლის პროექტის დასრულება - მიმდინარე;
- წყლის საქაჩების მოწყობა, მრიცხველების დაყენება 1200ც.
- სოფლის პროგრამის ფარგლებში გარე განათების გაკეთება (არ დაწყებულა)
- შიოს ეკლესიის შემოღობვა (პროექტი არის, წერილი არის გაგზავნილი საპატრიარქოში);
- სასაფლაოებზე გრეიდერის ჩამოტარება ორივე ხიდის რეაბილიტაცია.

წყاროსთავი

- ნინოწმინდა-წყاროსთავის დამაკავშირებელი გზის შეკეთება (პროექტი ნაყიდი არის);
- სკვერის დასრულება.

ნინოწმინდა

- წყლის პრობლემა, დასაჩქარებელია ჭაბურღილების დამატება.
- სოფლის პროგრამით სოფლის ცენტრში სკვერის გაკეთება; (პროექტი არ დაწყებულა) - მიმდინარე;
- ხევების გაწმენდა.

გიორგიწმინდა

- სოფლის ცენტრში სკვერის გაკეთება (პროექტი მზად არის)
- სასაფლაოსთან სანიაღვრის გაკეთება;
- სოფლის პროგრამა არ დაწყებულა
- ცენტრალურ ქუჩაზე გარე განათების შეცვლა 100 ც ლამპიონი
- უწყლოდ დარჩენილი 18 ოჯახისთვის წყლის პრობლემის მოგვარება (წყლის მიწოდება შესაძლებელია საგარეჯოდან)
- სასაფლაოების შიდა გზის გაკეთება;
- ადმინისტრაციული შენობის დემონტაჟი.

თოხლიაური

- გზის პროექტი მზად არის (შეპირება);
- წყლის პრობლემა (მრიცხველებია ჩასართავი) -შესრულდა;
- მიწის საკითხი არასასოფლოდან სასოფლოზე გადაყვანა;
- სოფლის პროგრამა არ დაწყებულა -შესრულდა;
- მანავი-ბურდიანის გზის გაკეთება (პროექტი მზადდება);
- კორპუსების კანალიზაციის პრობლემის მოგვარება (შეპირება);
- სპორტული დარბაზის აშენება.

პატარა ჩაილური

- წყალი არის დღეში 4 საათი (ითხოვენ 24 საათიან წყალმოარაგებას) - შესრულდა;
- სოფლის პროგრამა არ დაწყებულა - შესრულდა
- სასაფლაოსთან მისასვლელი გზის გაკეთება (ჯაბა ჯუბების უბანი)
- რიყის კალაპოტის გამაგრება.
- საჭიდაოსთან გამწვანების ნერგები.

ვერხვიანი

- წყლის პრობლემა (ცისტერნა რომ შევიდეს მოსახლეობასთან)
- სასაფლაოს გზის პროექტის შესყიდვა;
- სკვერის მოწყობა არ დაწყებულა - შესრულდა;

მზისგული

- ბაღთან მისასვლელი გზის გაკეთება (პროექტი მზად არის);
- ახალი გაკეთებული ხიდის პრობლემა (დაწეულია ხიდი);
- გზების მოხრეშვა სავარგულებთან;
- ნაგვის ურნების დადგმა (5 ცალი);
- წყლის დაქსელვა (პრიორიტეტი).

კაზლარი

- გზა დროულად დასრულდეს ბოლომდე - შესრულდა;
- 5 ცალი ნაგვის ურნის დადგმა.

დუზაგრამა

- ახალი დაგებული გზა არის გაფუჭებული (ახლიდან არის დასაგები) - გამოსწორდა

თულარი

- წყალი არ არის საერთოდ;
- გზებია მოსახრეში -შესრულდა;

ლამბალო

- წყლის პრობლემა.

კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა

პერიოდულად იმართება კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს სხდომები, სადაც მონაწილეობას იღებენ სააკრებულოს ხელმძღვანელი პირები. აღნიშნულ სხდომებზე ხდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების განხილვა/მოწონება.